აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 110

14 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

**უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების
დანიშვნისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 29 ოქტომბრის №17 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩევნო ოლქსა და მასში შემავალ ყველა საარჩევნო უბანზე უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებად დაინიშნონ:

ა) რამაზ ბოლქვაძე;
ბ) მალხაზ ბოლქვაძე;
გ) ნოდარ მელაძე;
დ) მანუჩარ გამყრელიძე;
ე) კახა ჯაიანი;
ვ) დავით თოდრია.

2. უსკოს წარმომადგენლებმა იმოქმედონ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის და უსკოს ინსტრუქციების

შესაბამისად (უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შევიდნენ საარჩევნო ოლქისა და უბნის შენობაში, სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ უსკოს. უსკოს წარმომადგენლებს არ აქვთ კომისიის მუშაობაში ჩარევის უფლება).

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია